

საქართველო: ძირითადი ფაქტები და ციფრები
შესრულების პირველი წელი



რეფორმებისა და ინვესტიციების დანერგვა

ყოველი ახალი შემთავაზებული საკანონმდებლო ინიციატივის დეტალურად გაანალიზებისა და მკაფიოდ გაგების მიზნით მაღალი დონის პოლიტიკურ დისკუსიებზე ხდება კონკრეტული რეფორმების განხორციელების განხილვა. პირველი ასეთი დისკუსია ჩატარდა თბილისში 2017 წლის 9-10 ნოემბერს, სადაც ძირითადი ყურადღება დაეთმო ენერჯეტიკის შესახებ ახალი კანონპროექტის შემუშავებას, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საკვანძო მარეგულირებელ კანონპროექტს სრული ენერჯეტიკული სექტორის რეფორმირების პროცესის სახელმძღვანელოდ და ენერჯეტიკული გაერთიანების საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. ევროკავშირის გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარებისა და შესაბამისი ვალდებულებების შესრულებით მიღებული სარგებელის თაობაზე დეტალური ინფორმაციისა და განმარტებების მიწოდებით, ენერჯეტიკული გაერთიანების სამდივნო ეხმარება ახალი რეფორმების უფრო ფართოდ აღიარებასა და მიღებას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დანერგვას.



რეგიონალურ დონეზე ენერჯეტიკული გაერთიანების სამდივნო, EU4Energy-ის საშუალებით, პარტნიორი ქვეყნებისთვის საკვანძო რეგიონალური ენერჯეტიკული ინფრასტრუქტურული პროექტების იდენტიფიცირების მიზნით სტრუქტურირებულ ფორუმს უზრუნველყოფს. ენერჯეტიკული გაერთიანების სამდივნო პრიორიტეტული პროექტების შერჩევის პროცესს ელექტროენერჯეტიკისა და გაზის ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტიციების შესაფასების სპეციალური მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების გამოყენებით ეხმარება.

ერთობლივი მუშაობა

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ვალდებულებების შესრულების მიზნით, EU4Energy ტექნიკური მხადაჭერისთვის პრიორიტეტული სფეროების განსასაზღვრად მიზნით, მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ხელისუფლების ორგანოებთან. ენერჯეტიკული სექტორის რეფორმირების პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების წამომადგენლებით დაკომპლექტებული- სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბებით, EU4Energy-ის მმართველობის გუნდი ყველა ახალი შემუშავებული სამართლებრივი ნორმის შემდგომი განხორციელების ეტაპების გაგრძელებას უწყობს ხელს. ამასთანავე, ახალი კანონმდებლობის დანერგვის მიზნით, სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის უზრუნველყოფილია ტრენინგების, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის შესაძლებლობები.

EU4ENERGY-ის ინიციატივა

EU4Energy ინიციატივა მოიცავს ევროკავშირის სრულ მხარდაჭერას ენერჯეტიკული რეფორმების, უსაფრთხოებისა და კავშირის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე ხელს უწყობს აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების - სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, საქართველოს, მოლდოვის რესპუბლიკისა და უკრაინის - ენერჯეტიკული რეფორმების განხორციელებას და ამ ქვეყნებში ხორციელდება ისეთი პროექტებისა და პროგრამების დაფინანსებით, რომლებიც ხელს უწყობს ენერჯეტიკული ბაზრების რეფორმირებას და ქვეყნის ენერჯეტიკული რეფორმების შემცირებას. გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს გახდის ენერჯეტიკული რეფორმების უფრო საიმედოს, გამჭვირვალეს და ხელმისაწვდომს, რითაც ხელს შეუწყობს ენერჯეტიკული სიღარიბისა და ელექტროენერჯეტიკის გადასახადების შემცირებას როგორც მოქალაქეებისთვის, ასევე კერძო სექტორისათვის.



EU4ENERGY-ის რეგიონალური ოფისი
სანაპირის ქ., 2, თბილისი, საქართველო

ენერჯეტიკული თანამშრომლობის სამდივნო
Am Hof 4, Level 5-6, 1010 Vienna, Austria
ტელ.: +431 535 2222

EU4Energy@energy-community.org
www.energy-community.org/regionalinitiatives/EU4Energy.html

#EU4Energy
#EnergyCommunity
#Strongertogether

ეს ბროშურა შექმნილია ევროკავშირის დახმარებით EU4Energy-ის ინიციატივის ფარგლებში. მოცემული ინფორმაციი წარმოადგენს ენერჯეტიკული თანამშრომლობის სამდივნოს ექსკლუზიურ პასუხისმგებლობას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც ევროკავშირის მოსაზრებების ასახვა.



EU4Energy



EU4Energy
GOVERNANCE
PROJECT



საქართველო

EU4ENERGY GOVERNANCE PROJECT

პროექტის შესახებ

EU4Energy Governance პროექტი არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროექტი, რომელიც EU4Energy-ის ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება. იგი ორიენტირებულია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების ენერგოსექტორში მომუშავე ხელისუფლების წარმომადგენლებზე და ხელს უწყობს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზის გაძლიერებას, ასევე საინვესტიციო შესაძლებლობების გამოვლენას ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის პროექტებში.

ვინ და სად

ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო ამ პროექტის ფარგლებში ტექნიკურ დახმარებას უწევს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამ ქვეყანას: საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას; ისინი უკვე წარმოადგენენ ენერგეტიკული -გაერთიანების წევრ ქვეყნებს. პროექტის რეგიონალურ საქმიანობაში ასევე ჩართულია სომხეთი, აზერბაიჯანი და ბელარუსია.

რატომ

ენერგეტიკული სექტორის გამართულად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მკაფიო წესები და რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკურენტულ და სამართლებრივ გარემოს. ამგვარი წესებისა და რეგულაციების დანერგვამ მომხმარებლებს, ბიზნეს-სექტორს და მრეწველობას შეიძლება მოუტანოს შემდეგი სარგებელი:

- ⚡ ელექტროენერჯის შემცირებული გადასახადები
- 🛡 ენერგომომარაგების საიმედოობისა და უსაფრთხოების გაზრდა
- 🌞 მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება
- 🌱 გარემოსთვის ზიანის შემცირება
- 🤝 ენერგეტიკული სიღარიბის შემცირება

როდის

EU4Energy Governance პროექტის ვადა გათვლილია ოთხ წელიწადზე და მოქმედებს 2016 ივნისიდან 2020 წლის ივნისამდე.

პროექტის საქმიანობის ტიპები

ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო ხელს უწყობს სახელისუფლო ორგანოებს ოთხი გზით



ენერგოეფექტურობა

საქართველოს სამშენებლო სექტორზე მოდის ქვეყნის ენერგომომარების 40%-ზე მეტი. საცხოვრებელი სახლები ქვეყანაში ყველაზე არაეფექტური ნაგებობებია და წარმოადგენს სათბური გაზების უმსხვილეს წყაროს. EU4Energy-ის გუნდმა დახმარება გაუწია საქართველოს ხელისუფლებას „შენიშვნის ენერგოეფექტურობის შესახებ“ პირველი კანონის შემუშავებაში და ამჟამად მუშაობს ევროკავშირის დირექტივის მიხედვით შესაბამისი რეგულაციების შემუშავებაზე.

სარგებლიანობა მოქალაქეებისთვის



ელექტროენერჯის ბაზარი

საქართველოს მთავარი ამოცანაა ელექტროენერჯის ღია, კონკურენტუნარიანი და ლიკვიდური ბაზრის შექმნა. EU4Energy პროგრამის მმართველობის გუნდი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ხელისუფლებასთან ელექტროენერჯის ბაზრის სრული გახსნის უზრუნველსაყოფად, რაც მოიცავს:

- სალიცენზიო პირობების სრულყოფილი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავებას
- მომხმარებლისათვის უნივერსალური მომსახურების და ბოლო იმედის მომსახურების მიწოდების წესების შემუშავებას
- ელექტროენერჯის ბაზრის წესების შემუშავებას და სხვ.

ელექტროენერჯის ბაზრის რეფორმების სარგებლიანობა მოქალაქეებისთვის

არჩევნის უფლება	მომხმარებლის დაცვა	მიწოდების უსაფრთხოება
სასურველი მიწოდების არჩევნის უფლება	მომსახურების პირობების, ფასებისა და მოხმარების შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფა	საყოფაცხოვრებო და მცირე სანარმოებისთვის უნივერსალური მიწოდება და დაუცველი მომხმარებლების ხელშეწყობა

გამის ბაზარი

EU4Energy-ის მიერ საქართველოს ბუნებრივი გამის ბაზრის რეფორმის ხელშეწყობა ორიენტირებულია საქართველოში ბუნებრივი გამის გამანაწილებელი ქსელების ოპერირების მართვისა და ფუნქციონირების ხელშეწყობის გარემოს და პირობების განვითარებაზე. აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს გამის ბაზრის გახსნას, ინვესტიციების მოზიდვასა და საქართველოს გამომომარაგების უსაფრთხოების გაზრდას.

ენერგეტიკა და გარემო

ზოგიერთი ტიპის თხევადი საწვავის წვის შედეგად წარმოქმნილი გოკირდის დიოქსიდის გამოყოფის შემცირება დადებით გავლენას მოახდენს უშუალოდ საქართველოს მოქალაქეებსა და გარემოზე. EU4Energy-ის მხარდაჭერით საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა სინჯების აღების წესები, თხევადი საწვავის ანალიზისა და შემოწმების მეთოდები და საწვავის ხარისხის მონიტორინგის გეგმების სტანდარტული ფორმა.